



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

ზურაბიშვილი ვალერიან სოლომონის ძე

ზურაბიშვილი ვალერიან სოლომონის ძე (25. X. 1917, სოფ. შემოქმედი, ახლანდ. ოზურგეთის მუნიციპალიტეტი, – 29. XII. 2006, თბილისი), ეკონომისტი. ეკონ. მეცნ. დოქტორი (1994), პროფესორი (1996), საქართვე. დამს. ეკონომისტი (1967). 1939 დაამთავრა თსუ-ის ეკონ. ფაკ-ტი. 1947–86 მუშაობდა სსრკ-ის სახელმწ. კონტროლის სამინისტრო სისტემაში და საქართვე. ფინანსთა სამინისტროს ცენტრ. აპარატში სხვადასხვა პასუხსაგებ თანამდებობაზე. ეწეოდა სამეცნ.-პედ. საქმიანობას თსუ-ში (1961–86), საქართვე. მეცნ. და ტექ. სახელმწ. კომიტეტთან არსებულ სახ. მეურნეობის მართვის ინ-ტში (1986–91), ფინანსებისა და სტატისტიკის ინ-ტში (1991–94). 1994–2003 იყო ეკონ. და სოც. პრობლემების სამეცნ.-კვლ. ინ-ტის ფინანსების, ფულის მიმოქცევისა და კრედიტის განყ-ბის გამგე, 2004–06 – ამავე ინ-ტის მთ. მეცნ. თანამშრომელი. ზ. მრავალი სამეცნ. შრომის ავტორია. მისი კვლევის საგანია ფინანსების და სამეურნეო საქმიანობის ეკონ. ანალიზის საკითხები. აღსანიშნავია ზ-ის ღვანლი ეკონ. და საფინანსო-საკრედიტო ტერმინოლოგიის შემუშავებაში. გამოცემული აქვს მონოგრაფიები და სახელმძღვანელოები. მონაწილეობდა II მსოფლიო ომში. 1977–87 იყო თბილ. სახ. დეპუტატთა საქალაქო საბჭოს მრავალი მონვევის დეპუტატი. მიღებული აქვს საბრძოლო და სახელმწ. ჯილდოები, მ. შ. ღირსების ორდენი (1998).

თხზ.: მშენებლობის ეკონომიკური ანალიზი, თბ., 1990; სანარმოთა საბრუნავი საშუალებები, თბ., 1993; საქართველოს საბიუჯეტო სისტემა საბაზრო ეკონომიკის ფორმირების პერიოდში, თბ., 2005; საქართველოს საფინანსო პოლიტიკა საბაზრო ეკონომიკის ფორმირების პერიოდში, თბ., 2006.
